ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენებლობითი მენეჯმენტი,
დაპროექტება და ექსპერტიზა”

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

(სოპ)



ქალაქ თბილისში, მაყაშვილის ქუჩის 2-ე ჩიხი №2-ში და მაყაშვილის I ჩიხი №4 –ში მიდებარედ მდგომი საცხოვრებელი სახლების დაშლა-დემონტაჟზე (მესაკუთრე შპს „არქიინვესტი”)

თბილისი
2012

ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეშქტი,
დაპროექტება და ექსპერტიზა"

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

(სოპ)

ქალაქ თბილისში, მაყაშვილის ქუჩის 2-ე ჩიხი №2-ში
და მაყაშვილის I ჩიხი №4 –ში მიდებარედ მდგომი
საცხოვრებელი სახლების დაშლა-დემონტაჟზე
(მესაკუთრე შპს „არქიინვესტი")

დირექტორი რ. მახვილაძე

შეადგინა ნ. მურჯიკნელი

თბილისი

2012

სარჩევი

1. დასაშლელი ობიექტი და მიმდებარე ტერიტორია 4
2. კალენდარული გეგმა თანხების მოთხოვნილებების მიხედვით. 8
3. სამუშაოების კალენდარული გრაფიკი ცალკეულ ეტაპების მიხედვით 9
4. მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე 10
5. მანეთის ლარში გადამყვანი ინდექსის შესახებ 10
6. მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე და ჟანგბადზე. 11
7. მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე. 11
8. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები 12
9. დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები 12
10. მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია 15
11. ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა 17
12. მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე 18
13. ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები 19
14. დაშლით სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა 20
15. დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა გენგეგმა, მაშტაბში 1:500 21
16. დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა გენგეგმა, მაშტაბში 1:200. 22

დანართები

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კ. მაყაშვილის ქუჩის 2-ე ჩიხი №2-ზე 23
2. საკადასტრო გეგმა. 25
3. მისივე ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი 26
4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კ. მაყაშვილის I ჩიხი №4. . . 28
5. მისივე საკადასტრო გეგმა 30
6. მისივე ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი 31
7. ტოპოგეგმა 33
8. სიტუაციური გეგმა ქალაქის განაშენიანებაში 34
9. იგივე ფოტო-აეროგადაღება 35
10. აზომვითი ნახაზები. 36
11. ფოტო მახალა არსებულ მდგომარეობაზე. 39

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი

ქალაქ თბილისში, მაყაშვილის ქუჩის ჩიხი №2 და მაყაშვილის I ჩიხი №4 საცხოვრებელი სახლების დაშლა-დემონტაჟზე

1. დასაშლელი ობიექტი და მიმდებარე ტერიტორია

1.1. აღნიშნულ მისამართზე ორივე სახლის მესაკუთრე შპს „არქიინვესტი"-ა. საცხოვრებელი სახლები ერთმანეთის გაგრძელებაზეა განთავსებული, საცხოვრებელი სახლები ამჟამად ავარიულ მდგომარეობაშია, რის გამოც მისი მესაკუთრე გეგმავს მათ დაშლა-დემონტაჟს და გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე თანამედროვე ტერასული ტიპის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

1.2. ვინაიდან ორივე მისამართზე საცხოვრებელ სახლებს ერთი მესაკუთრე განკარგავს უპრიანია ორივე მისამართზე მდგომი შენობა – ნაგებობების ერთ პერიოდში დაშლა-დემონტაჟი რის გამოც მათზე სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტიც ერთობლივადაა წარმოვადგენილი.

1.3. სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- შპს „არქიინვესტის" დავალება დაპროექტირებაზე;
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- საკადასტრო გეგმები;
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზები;
- შენობების აზომვითი გეგმები და ჭრილები;
- ტოპოგეგმა;
- მოხდა ობიექტის ნატურაში დათვალიერება;
- წარმოდგენილია ფოტო-მასალა არსებულ მდგომარეობაზე.

1.4. როგორც აღინიშნა №2 და №4 ეზოები ერთმანეთის მიმდებარედაა განთავსებული. იხილეთ ტოპო გეგმა. საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით №4 მისამართზე ჩიხის მხარეზე ეზოში სიგრძეში შემავალი

ერთი ერთ სართულიანი სახლია ნახევარსარდაფით, ეზოში კი სამი ერთსართულიანი ნაგებობაა. მისი საკადასტრო ინდექსია 01.15.02.038.046. ეზოს ჩიხიდან შესასვლელი არ გააჩნია, ჩიხიდან პირველ სართულზე ვხვდებით 11 საფეხურით ამავალი კიბით, ხოლო შემდეგ მობინადრეები ეზოში ჩადიან 7 საფეხურის საშუალებით, ნახევარსარდაფში კი ეზოდან 4 საფეხურით. მისი მიწაში ჩაღრმავება 70 სმ-ია, ვინაიდან ეზო ჩიხის დონესთან შედარებით ამაღლებულია. ჩიხის მხრიდან კიბის ბაქნის ქვედა სივრციდან, (იხილეთ ფოტო მახალა) ნახევარსარდაფში მოწყობილ ავტოსადგომში ჩასასვლელი პანდუსია მოწყობილი.

1.5. მიმდებარედ მდგომი №2 სახლი საკადასტრო ინდექსით 01.15.02.038.039 ერთი ორსართულიანი და ერთი ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლებითაა ნაგები, ჩიხიდან ეზოში შესასვლელი ავტოჭიშკარია. ერთსართულიანს გააჩნია სარდაფი მიწაში ეზოდან ჩაღრმავებით 1,5 მეტრი. იხილეთ აზომვითი ნახაზი.

1.6. ორივე მისამართზე სახლები აგებულია მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდში აგურის მზიდ კედლებში, იატაკები და ჭერი ხის ფიცრებითაა მოწყობილი, სახურავი ერთქანობიანია შავი თუნუქის ფენილით.

1.7. ადგილზე დათვალიერებითა და ტოპო გეგმის მიხედვით ორივე ნაკვეთის სიღრმე წითელ ხაზებში ჩიხის მხრიდან 25,54 მეტრი, ხოლო ეზოს მიმართულებით სიღრმეში 26,3 მეტრია. ორივე ეზოს სიღრმე წითელი ხაზების ფარგლებში 16,55 მეტრია. ორივე მხრიდან შენობებს დამოუკიდებელი მზიდი კედლებით ედგმება მიმდებარე ეზოებში მდგომი საცხოვრებელი სახლები, ხოლო უკანა მხარეზე თავისუფალი სივრცეა მოშორებით მდგომი საცხოვრებელი სახლებით, მათ შორის ერთი ოთხსართულიანია.

1.8. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩიხის მხარეზე შენობების დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პერიოდში აუცილებელია კედლების სიფრთხილით დაშლა, რათა არ მოხდეს მეზობელი შენობების უნებლიე დაზიანება, რაზედაც მითითებებია თავში „რეკომენდაციები დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციაზე".

1.9. საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით №2 სახლის ნაკვეთზე განთავსებული ეზოს ზომებია გეგმაში 16,55X18,55 მეტრი ფართობით 317 მ², №4 სახლისა ჩიხის მხრიდან 7,35 მეტრი, სიღრმეში 17,6 მეტრი მარცხენა მხარეზე ეზოს სიღრმეში 3,63 მეტრ სიგანეზე და 9,75 მეტრ სიგრძეში შეწეული ფართია, სადაც სამი ერთსართულიანი ნაგებობაა განთავსებული. საერთო ფართობი შეადგენს 163 მ².

1.10. დასაშლელ-სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების ტექნიკურ-საექსპლოატაციო მაჩვენებლებია:

№ №	მაჩვენებლები	საზომი ერთეული	ეზო №2	ეზო №4	ჯამი
1.	მიწის ნაკვეთის ფართი	მ²	317	163	480
2.	საერთო ფართობი	მ²	236,14	315,28	551,42
3.	სამშენებლო მოცულობა	მ³	1773	1040	2813
	0,00 ნიშნულის ზევით	მ³	1674	441	2115
	0,00 ნიშნულის ქვევით	მ³	99	599	658
4	შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე №2 სახლის ორსართულიანი უსარდაფო შენობის	მ	6,4		–
	იმავე ეზოს ერთსართულიანი შენობის	მ	5,2		
	0,00 ნიშნულის ზევით	მ	2,7	–	
	0,00 ნიშნულის ქვევით	მ	2,2		
	№4 ეზოს ერთსართულიანი შენობის ნახევარსარდაფით კონსტრუქციული სიმაღლე	მ	–	6,6	
	0,00 ნიშნულის ზევით	მ		3,8	
	0,00 ნიშნულის ქვევით	მ		2,8	
	მაქსიმალური სიმაღლე ჩიხის მხრიდან სახურავის დონემდე №4 სახლზეა	მ	–	8,2	8,2
იხილეთ აზომვითი ნახაზები					

1.11. მსოფლიო პრაქტიკაში ქალაქები და დასახლებული პუნქტები მუდმივ სახეცვლილებას განიცდიან მოსახლეობის მზარდი სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების ზეგავლენით, ამავე დროს თვით ქალაქის მესვეურებიც სისტემატურად ფიქრობენ ქალაქების სტრუქტურული სრულყოფისა და საქალაქო ტერიტორიების რაციონალურად გამოყენების გზებზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სადაც მიწაზე კერძო საკუთრების გამო ქალაქებს

ერთმეორეთ ტერიტორიული გაფართოების საშუალება და იძულებული ხდებიან ერთგვარად „დასჯერდნენ" არსებულ ტერიტორიას და სივრცის განვითარებას მისცენ არა ჰორიზონტალური, არამედ ვერტიკალური ხასიათი. ერთის მხრივ საქალაქო ტერიტორიების შეზღუდულობა, ხოლო მეორეს მხრივ თანამედროვე მოთხოვნილებათა უსასრულო ზრდა აიძულებს ქალაქის მესვეურთ მუდმივად იზრუნონ არსებული განაშენიანების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციაზე. ამიტომაც ვერაზე ბარნოვის, ხოშტარიაერისთავის, მაჯაშვილისა და სხვა მიმდებარე ქუჩებზე ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი მშენებლობები თანამედროვე ტექნოლოგიური და ურბანული დაგეგმარებით.

1.12. თბილისში საცხოვრებელი სახლები რამდენიმე საუკუნოვანი ხანდაზმულობით ხასიათდებიან. სამშენებლო ნორმებითა და წესებით აგურით ნაშენი სახლების ხანმედეგობა (სიცოცხლის უნარიანობა) 120 წლით შემოიფარგლება. დრომ, სეისმურმა ზემოქმედებამ (მიწიხძვრებმა), გრუნტების გაწყლიანებამ – წყალ-კანალიზაციის, თბო-ქსელების დაზიანებებმა აღნიშნულ მისამართზე დააზიანა საცხოვრებელი სახლების ფუძეები. შენობები და ნაგებობები ავარიულ მდგომარეობაშია, კედლები დაბზარულია, რამდენიმე ადგილას გამჭოლი ბზარებით, ალაგ-ალაგ ჩამონგრეულიცაა, შენობის დაზიანების კატეგორია II–I ხარისხადაა შეფასებული, რაც კარგად ჩანს წარმოდგენილ ფოტო-მასალაში.

1.13. ადგილზე შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ საცხოვრებელ სახლებსა და ნაგებობებს უკანასკნელი 40 წლის პერიოდში არ ჩატარებია არც მიმდინარე და არც კაპიტალური რემონტი. ერთ და ორ სართულიანი შენობა-ნაგებობები აგებულია აგურისაგან, ნაწილი ნაგებობებისა ფიცრულია. სახურავის შეუკეთებლობის გამო ატმოსფერულმა ნალექებმა ბევრგან გაატანა ჭერში, ჩარეცხა და დაანესტიანა კედლები, რამაც ხელი შეუწყო მზიდ და არამზიდ კონსტრუქციებში ფიზიკური ცვეთის მაჩვენებლების გაუარესებას. ზოგიერთ ბინაში მაცხოვრებლები აღარ ცხოვრობენ

1.14. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიის ახალი სეისმური დარაიონების მიხედვით თბილისი 8 ბალიან ზონად განიხილება, გასული საუკუნის პერიოდში აგებული შენობები ძირითადად 7 ბალზეა გათვლილი. განხილულ შენობა-ნაგებობებში არავითარი ანტისეისმური ღონისძიებები არსად არ ჩანს, არ არის სეისმური სარტყელიც.

1.15. თბილისური გამოცდილებით აგურის მზიდ კედლებში ნაგები შენობა-ნაგებობათა დაშლა-დემონტაჟის საორიენტაციო ღირებულებაა ერთ კვადრატულ მეტრზე 30-50 ლარის ფარგლებშია, ორივე ეზოში მდგომი დასაშლელი სენობების საერთო ფართობი შეადგენს 251,42 მ^2 , მივუღოთ 40 ლარი ერთი კვადრატული მეტრის დაშლაზე. 251,42 X40= 22,067 ლარს, მას დაემატება შიდა საინჟინრო კომუნიკაციების გარესთან გამორთვა-ჩაჭრის ღირებულება პირობით 3000 ლარი. ამრიგად საორიენტაციო თანხა დაშლა-დემონტაჟზე სამშენებლო ნარჩენების გატანით 25,1 ათასი ლარია.

1.16. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საბაზრო ურთიერთობების პირობებში განსაზღვრავს მშენებლობის წინასწარ ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და მეიჯარეს შორის გადახდის საშუალებას. მათ შორის ანგარიშსწორება ხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენით, რასაც ცხადია უნდა დაეთანხმოს დამკვეთიც.

1.17. დაშლით სამუშაოთა ხანგრძლივობაზე ჩვენს მიერ იგეგმება ოთხი თვის პერიოდი.

1.18. კალენდარული გეგმა და გრაფიკი დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოებზე წარმოდგენილია მე-2 და მე-3 ცხრილებში.

2. ქალაქ თბილისში, მაყაშვილის ჩიხში №2 და იქვე I ჩიხი №4 საცხოვრებელი სახლების დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა კალენდარული გეგმა თანხებზე მოთხოვნილების მიხედვით

№№	სამუშაოთა დასრულება	ღირებულება ათასი ლარი	თანხებზე მოთხოვნილებების გრაფიკი											
			თვეები და კალენდარული დღეები											
			პირველი			მეორე			მესამე			მეოთხე		
			10	20	30	40	50	60	70	80	90	100	110	120
1.	მოსამზადებელი სამუშაოები: შიდა საინჟინრო კომუნიკაციების ჩაჭრა საქალაქოსთან დროებითი ღობის მოწყობა	3	3											
2.	№2 საცხოვრებელი სახლის დაშლა-დემონტაჟი	9,5		4,5			5,0							
3.	№4 საცხოვრებელი სახლის დაშლა-დემონტაჟი	12,6						2,5		5,0			5,0	
4.	მთლიანი ღირებულება	25,1	7,5			7,5			5,1			5,0		
5.	პროცენტული მოთხოვნილება თანხებზე	100%	30%			30%			20%			20%		



ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენებლობის კონსულტანტი დაპროექტება და ექსპერტიზა"			ქ. თბილისში, კოტე მაყაშვილის ქუჩა №2 და კოტე მაყაშვილის I ჩიხი №4 მდებარე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების დაშლა-დემონტაჟზე	
დირექტორი	რ. მახვილაძე		სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შემდგენი	ნ. მურვიკნელი		დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა კალენდარული გეგმა	ფურც. 9 ფურც-ები 45 თბილისი 2012

3. ქალაქ თბილისში, მაყაშვილის ჩიხში №2 და იქვე I ჩიხი №4 საცხოვრებელი სახლების დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით

№№	სამუშაოთა დასრულება	ხანგრძლივობა ათასი ლარი	თანხებზე მოთხოვნილებების გრაფიკი											
			თავები და კალენდარული დღეები											
			პირველი			მეორე			მესამე			მეოთხე		
			10	20	30	40	50	60	70	80	90	100	110	120
1.	მოსამზადებელი სამუშაოები: შიდა საინჟინრო კომუნიკაციების ჩაჭრა საქალაქოსთან დროებითი ღობის მოწყობა	10	10											
2.	№2 საცხოვრებელი სახლის დაშლა-დემონტაჟი	50				50								
3.	№4 საცხოვრებელი სახლის დაშლა-დემონტაჟი	70									70			
4.	სამშენებლო ნაგვის გატანა და ტერიტორიის მოსწორება	20											30	

	ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეტრი დაპროექტება და ექსპერტიზა"		ქ. თბილისში, კოტე მაყაშვილის ქუჩა №2 და კოტე მაყაშვილის I ჩიხი №4 მდებარე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების დაშლა-დემონტაჟზე	
დირექტორი	რ. მახვილაძე		სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შემდგენი	ნ. მურვანიძე		დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით	ფურც. 10 ფურც-ები 45 თბილისი 2012

4. მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე

4.1. მომუშავეთა ანგარიში წარმოებს მუშათა წლიური გამომუშავების მიხედვით. ცხადია შენობის დაშლის პერიოდში მუშათა რაოდენობა სხვადასხვა იქნება. დაშლით სამუშაოებზე მოწვეული სამშენებლო ფირმის საგეგმო-საწარმოო მონაცემებით მუშის საშუალო დღიური გამომუშავება შეადგენს 30 ლარს, თვიური 900 ლარს 30 სამუშაო დღის პირობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე ერთი თვის პერიოდში საშუალოდ დღიურად დაგვჭირდება 25100:(900X4)=7 მუშაკი. მათ შორის იქნება 1 ტექნიკოსი. მათზე ვანგარიშობთ:

4.2 საყოფაცხოვრებო სათავსებს

- გახახდელებს 7X0,7=4.9 კვ. მეტრი;
- საშხაპეს – 7X0.082=0,57 კვ. მეტრი;
- ტუალეტი – 7X0,065=0,46 კვ. მეტრი

სულ გვჭირდება 5,9 კვ. მეტრი.

4.3 კანტორა ანგარიშდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და საშუალო პერსონალის მიხედვით, ჩვენს შემთხვევაში 1 კაცზე სულ საჭიროა 10+4X1=14 კვ.მეტრი.

4.4. ცხადია ანგარიში პირობითია. დაშლით სამუშაოთა წარმართვის პერიოდში მომუშავე პერსონალი უნდა დაკმაყოფილდეს ნაკვეთზე მდგარი შენობებით.

5. მანეთის ლარში გადამყვანი ინდექსის შესახებ

5.1. შენობა-ნაგებობათა დაშლის პერიოდში წარმოიშობა მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე, ჟანგბადზე და სამშენებლო ავტოტრანსპორტზე. მათი გათვლა წარმოებს სნ-73 ინსტრუქციის მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 1 მლნ. მანეთ დანახარჯზე წლიური შესასრულებელი პროგრამის მიხედვით.

5.2. მანეთის ლარზე გადასაყვანად ვსარგებლობთ დღეისათვის მოქმედი ინდექსით: 1 ლარი უტოლდება 2,2 რუბლს. აღნიშნულთან დაკავშირებით გაანგარიშებებში შეგვყავს კოეფიციენტი k=1:2,2=0,45.

5.3. სამუშაოთა ღირებულება დაშლაზე შეადგენს 25,1 ათას ლარს ანუ 0,025 მლნ. ლარს. საჭიროა მისი გადაყვანა წლიურ მოთხოვნილებაზე კოეფიციენტით ოთხი თვის მიხედვით, რაც ნიშნავს თანხების მოხმარების შემჭიდროებას დროში; კოეფიციენტი იქნება 12/4=3 ე.ი. ანგარიში უნდა ვაწარმოოთ თანხის გადამყვანი კოეფიციენტის მიხედვით გაზრდილ მოთხოვნილებაზე K_2=3

6. მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე და ჟანგბადზე

6.1 მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე

0,78X140X0,025X0,45X3=3,69 კვტ

6.2 მოთხოვნილება წყალზე

0,93X0,24X0,025X0,45X3=0,007 ლ/წმ

6.3 მოთხოვნილება კომპრესორზე

0,93X0,32X0,025X0,45X3=0,009=1 ცალი

6.4 მოთხოვნილება ჟანგბადზე

0,93X4400X0,025X0,45X3=138,11 მ³/საათში

ფორმულებში 0,78; 0,93 ტერიტორიალური კოეფიციენტია, ხოლო 140; 0,24; 0,32 და 4400 ერთ მილიონ მანეთზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ნორმატული დანახარჯები.

6.5 მოთხოვნილებები ელექტროენერგიაზე და წყალზე იფარება საქალაქო ქსელებიდან საექსპლოატაციო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება-კონტაქტების საფუძველზე.

7. მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე

ავტოტრანსპორტიც ანგარიშდება 1 მლნ. მანეთ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების წლიური მოცულობის მიხედვით.

ჩვენს შემთხვევაში საჭიროა:

7.1 თვითმცლელი მანქანები 0,025X11,62X0,45X3=0.39=1 ცალი დღეში

7.2 ძარიანი მანქანები 0,025X8,57X0,45X3=0.29=1 ცალი დღეში

7.3. თანამედროვე პირობებში მანქანების დაქირავება წარმოებს მოთხოვნილების მომენტისათვის, ამიტომ მათი რაოდენობების წინასწარი ყოველდღიური დაგეგმვა აუცილებელი არ არის.

8. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები

8.1. ჩვენს მიერ შედგენილი სოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-01-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

8.2. სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

8.3. სამუშაოთა დაწყება დაიშვება ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. ტექრიტორია ორი მხრიდან შემოკავებულია, საჭიროა ზუგდიდის (ნაწილობრივ) და ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩების მხრიდან ტროტუარის ბორდიურის ზოლზე დროებითი ხის ან მავთულბადოვანი ღობის მოწყობა.

8.4. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

8.5. შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპზე და მათ წარმართვაზე უფრო დეტალურად იხილეთ მომდევნო თავებში.

8.6. სამუშაოები უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

9. დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

9.1. შენობა-ნაგებობათა დაშლის სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა „კრებული სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებიდან.

9.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმებია და წესები, რომლეც ბითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშებლო ფირმამ სამშენებლო – სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ III-17-78 „ქვის კონსტრუქციები";
- სნ და წ III-19-81 „ხის კონსტრუქციები";
- სნ და წ III-20-74 „ბურულები, ჰიდროიზოლაცია; ორთქლიზაცია და თბოიზოლაცია";
- სნ და წ III-21-79 „სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები";
- სნ და წ III-3-14-78 „იატაკები";
- სნ და წ III-28-79 „შენობებისა და ნაგებობების სანიტარულ - ტექნიკური მოწყობა";
- სნ და წ III-29-79 „გაზით მომარაგება, შიდა მოწყობილობა, გარე ქსელები და ნაგებობები";
- სნ და წ III-30-79 „წყალ მომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება; გარე ქსელები და ნაგებობები";
- სნ და წ III-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები";
- სნ და წ III-4-80 '„უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში";
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტჟო სამუშაოთა წარმოებისდროს;
- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა";
- ინსტრუქცია „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შეფასების შესახებ";

- ინსტრუქცია „მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება.

9.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

_ გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;

_ წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

_ მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი.

_ ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №12.18.243 (16.05.2006 წელი) ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მიწის გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიების შესახებ.

9.4. გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, ნახაზების უტილიზაციის, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

9.5. ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

9.6. კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

9.7. მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნკერებით, ხოლო სამშენებლო ნაგვისა დამოკიდებულია სამშენებლო – სარეკონსტრუქციო სამუშაოების მტვერშემცვე-

ლობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მჟარი მასალისაგან.

10. მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია

10.1. როგორც აღინიშნა დაშლის დაწყების წინ აუცილებელია ქუჩის ზოლზე მდგარი შინობების წინ ერთ მეტრ სიგანეზე დროებითი ღობის მოწყობა, როგორც ეს ნაჩვენებია სამუშაოთა გენგეგმაზე.

10.2. დაშლის წინ საექსპლოატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობით საჭიროა წყალსადენის, კანალიზაციის, გაზსადენის, ელექტროქსელის და სხვათა ჩახსნა საქალაქო საინჟინრო კომუნიკაციებიდან სათანადო აქტების გაფორმებით.

10.3. ობიექტი საჭიროა აღიჭურვოს დაშლითი სამუშაოების ჩასატარებლად ცხრილში ჩამოთვლილი სამშენებლო მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით

10.4. შენობა უნდა შეიფუთოს მტვრის დამჭერი ფარდით, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში.

10.5. დაშლითი სამუშაოების უზრუნველყოფა ელ. ენერგიითა და წყლით უნდა მოხდეს საქალაქო ქსელებიდან თელასთან და თბილწყალკანალთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

10.6. დასაშლელ-სადემონტაჟო ობიექტრი მდებარეობს ვერაზე. მისასვლელი საავტომობილო გზა ვაკეზე გაყვლითაა, რაც შესათანხმებელია საგზაო პოლიციასთან.

10.7. როგორც აღინიშნა დასაშლელ შენობა-ნაგებობებს გააჩნიათ ცალკე მდგომი მზიდი კედლები, რაც განაპირობებს მათ უსაფრთხო დაშლას, ცხადია დემონტაჟისას შრომის უსაფრთხოების ზომების დაცვით. იხილეთ თავი 12.

10.8. საექსპერტო-ტექნიკური დასკვნის მიხედვით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხრიდან სამეზობლო ნაკვეთებზე მდგომ შენობებს გააჩნიათ დამოუკიდებელი აგურის მზიდი კედლები და ყორე ქვის საძირკვლები. დაშლის პერიოდში საჭიროა სიფრთხილე, რათა არ მოხდეს სადემონტაჟოდ გაუთვალისწინებელი სამეზობლო შენობების დაზიანება; უნებლიე დაზიანებების შემთხვევაში დაშლის მწარმოებელმა ფირმამ აუცილებელია იმავდროულადვე აღადგინოს მათი საექსპლოატაციო მდგომარეობა მობინადრეთა ინტერესების გათვალისწინებით;
- მიმდებარე შენობების გასწვრივ ყორე ქვაზე მოწყობილი ზეძირკველისა და საძირკველის დაშლა-დემონტაჟისას სანგრევი ჩაქუჩის გამოყენება სასურველი არ არის, ვინაიდან მეზობელი სახლების მიჯნის სიახლოვეს ვიბრაციამ და რხევითმა მოვლენებმა მოსალოდნელია მათი დაზიანება გამოიწვიოს; ამ ნაწილში სამუშაოები უნდა წარიმართოს განსაკუთრებული სიფრთხილით სამშენებლო უსაფრთხოების წესების სრული დაცვით. უნებლიე დაზიანებების ლიკვიდირება კი მაშინვე განსახორციელებელი;
- რაც შეეხება შენობა-ნაგებობების სამეზობლოსთან მოშორებულ ნაწილებს, განსაკუთრებით ბეტონზე მოწყობილ საძირკვლებს, მათ დაშლა-დემონტაჟზე შესაძლებელია სანგრევი ჩაქუჩების გამოყენება;
- დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა დასრულებისთანავე სამეზობლო შენობებს დემონტირებულ ზოლზე საჭიროა შემოევლოთ სარინელი (ტროტუარი), რათა არ მოხდეს წყლის ჩადინება ნახევარ სარდაფში და შენობის შიგთავსში.

10.9. დაშლის პირველ ეტაპზე საჭიროა შენობის შიგთავსის გამოთავისუფლება: გათბობისა და წყალკანალიზაციის სისტემების დემონტაჟი, კარფანჯრების მოხსნა, ტიხრების დაშლა, ხის იატაკების აყრა, სამშენებლო ნაგვის შეგროვება და შენობიდან გამოტანა თვითმცლელებში ჩაყრით.

10.10. მეორე ეტაპია სახურავის ცალკეული ელემენტების დაშლა.

10.11. მესამე ეტაპია ზედა სართულის მზიდი აგურით ამოშენებული კედლების დაშლა სადგამი მაგიდების გამოყენებით. მეოთხე ეტაპია სართულშუა იატაკების დაშლა, შემდეგ კვლავ მზიდი აგურით ამოშენებული კედლების დაშლა, შემდეგ კი იატაკების დაშლა.

1012. ბოლო ეტაპია ჟორექვითა და ბეტონით ნაგები საძირკვლების დაშლა, საჭიროების შემთხვევაში პნევმატიური სანგრევი ჩაქუჩებით, შემდეგ კი უნდა მოხდეს ტერიტორიის გამოთავისუფლება სამშენებლო ნაგვისაგან.

10.13. დაშლის სამუშაოთა საწყის ეტაპზე ეზოს ტერიტორიაზე მისი სივიწროვისა და მცირე ფართის გამო სამშენებლო ნაგვის შეგროვება გაძნელებული იქნება, რის გამოც სასურველია თავდაპირველად დაიშალოს №2 სახლის ეზოში მდგომი ერთ სართულიანი შენობა და მისგან მოყოლებით ორ სართულიანი და №4 სახლის ერთ სართულიანი საცხოვრებელი სახლი ნახევარსარდაფით. ეს საშუალებას მოგვცემთ გაზარდოთ სამშენებლო ნაგვის შესაგროვებელი მიწის ფართი. დაშლის პერიოდშივე უნდა მოხდეს სამშენებლო ნაგვის დატვირთვა თვითმცლელებზე და გატანა.

10.14. ამავე დროს შენობა-ნაგებობათა დაშლის პერიოდში აუცილებელია დაშლით-სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ელექტრო, ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შესაბამისობით ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

11. ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა

11.1. დასაშლელ სამუშაოთა წარმოების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სხვა მანქანა-მექანიზმები, დანადგარები და ინსტრუმენტები, რომელთა რეკომენდებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში. ცხადია ცხრილით რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვა-

ლოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი შენობის დამშლელი ფირმის შესაძლებლობიდან და ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე.

ცხრილი

№	დასახელება	მარკა	რაო დენ. ცალი
1	2	3	4
1.	„ბოლგარკის“ ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლ.	1
2.	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კომპლ.	2
3.	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1
4.	სანგრევი ჩაქუჩები	-	1
5.	ავტოგენური საჭრელი აპარატები	კომპლ.	1
6.	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	სხვადა-სხვა	1
7.	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ	4
8.	ლითონის ან ხის მაგიდა-სადგომები, ზომით IX2 და სიმაღლით 2 მეტრი	ცალი	2
9.	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი	НП-4602	1
10.	პერფორატორები	П-47	1
11.	ჰიდრავლიკური დომკრატი, ტვირთამწეობით 10ტ-მდე	ДГ-100-2	1
12.	ხელის უნივერსალური ჯალამბარი	ТП-66Е	1
13.	ვიბროსამსხვრევი	С-47614	1
14.	ელექტრომაგნიტური ბურღი	კომპლ.	1
15.	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკები	-	2

12. მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

12.1. მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე“ და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

12.2. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნილოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

12.3. ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და ელექტრომოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

12.4. აუცილებელი პირობაა: კონსტრუქციათა დაშლის პერიოდში მის სიახლოვეს 6 მეტრის რადიუსით არ უნდა იმყოფებოდეს ჩაჭრის ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეები.

12.5. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცხრილში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი და სხვა მექანიზმების გამოყენებაც.

12.6. დაშლით ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკებით).

12.7. დაუშვებელია ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

12.8. დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირებით.

13. ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

13.1 გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

13.2 კედლების, ტიხრების, იატაკების დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა ანდა სამუშაოები განხორციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.

13.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

13.4. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს.

14. დაშლით სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა

14.1. კრებული – სამახსოვრო ქართულ ენაზე – მოქმედი სამშენებლო წარმოების ნორმებისა და წესების ამონაკრები, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი 1987 წ.

14.2. რ. მახვილაძე, დ. ბუჩუკური, ი. გოგოლაძე, დ. ჭელიშვილი, ნ. ქარქაშაძე – საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი, თბილისი, 2007 წ

14.3. შ. ბაქანიძე, მ. ლორთქიფანიძე , რ. მახვილაძე – ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე. თბილისი, 2006 წ.

14.4. СНиП 3.01.01.85* „Организация строительного производства", М. 1989г.

14.5. СНиП III-4-80* „Техника безопасности на строительстве" , М. 1988г

14.6. Восстановление здании после землетрясения, М.1986г.

14.7. Л. Зайцев, И. Улитенко „Строительные стреловые самоходные краны", М. 1984г.

14.8. Р. Каграмонов, Ш. Мачабели „Монтаж конструкций сборных многоэтажных гражданских и промышленных зданий". М. 1987 г.

14.9. Справочник мастера – строителя , М. 1989 г.

დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა გენგეგმა მ 1 : 500



დასაშლელ-სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების ტექნიკურ-საექსპლოატაციო მაჩვენებლებლები

№ №	მაჩვენებლები საკადასტრო გეგმით	საზომი ერთეული	ეზო №2	ეზო №4
1.	მოშენების ფართი	მ²	317	163
2.	№2 ეზოში ორივე საცხოვრებელი სახლის საერთო ფართი	მ²	236,14	–
3.	მათ შორის საცხოვრებელი	მ²	195,33	–
4.	№4 ეზოში ერთი საცხოვრებელი სახლი და 3 ნაგებობის საერთო ფართი	მ²	–	315,28
5.	მათ შორის საცხოვრებელი	მ²	–	226,5
6	სამშენებლო მოცულობა	მ³	709,2	945,84

პირობითი აღნიშვნები

- ⑥ – დასაშლელ–სადემონტაჟო საცხოვრებელი სახლი
- ④ – სამშენებლო ნაშალის შესაგროვებელი ადგილი
- – მიმდებარე განაშენიანება
- – დროებითი ღობე



სახლი № 2 | სახლი №4

არსებული მდგომარეობის ფოტო ფიქსაცია



სახლი № 2 | სახლი №4

რეკომენდაციები დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოებზე.

1. ეზოდან ჩახიდან ეზოში შესასვლელი გაანია №2 სახლს დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებაც აქედანაა შესაძლებელი. თავდაპირველად ტროტუარის გასწვრივ ეწყობა დროებითი ღობე.
2. დაშლილი მასალების დასაგროვებელი ზონის შექმნის მიზნით სასურველია №2 სახლი ეზოში ჯერ ერთსართულიანი პოზიცია 2 სახლის დაშლადემონტაჟო მიმდებარე კიბეებთან ერთად.
3. ეზოში მდგომი ორი ფოთლოვანი ხის მოჭრა შესათანხმებელია გარემოს დაცვის სამსახურთან.
4. დაუშვებელია დროებითი ღობის გასწვრივ ჩახის დანაგვიანება სამშენებლო ნაგვით და ნარჩენებით, ასევე იკრძალება მიმდებარე ეზოების შენობებზე სამშენებლო ნაშალის მოყრა.
5. მიმდებარე შენობებთან დაშლითი ოპერაციების წარმოების პერიოდში იკრძალება სანგრევი ჩაქუჩებისა და ვიბრაციული ზემოქმედების მანქანა-იარაღების გამოყენება.
6. მიმდებარე შენობების კედლების, სახრკლების ან სახურავის უნებლიე დაზიანების შემთხვევაში აუცილებელია მათი იმავდროული აღდგენა მოპირდაპირეთა ინტერესების შესაბამისობით.
7. დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა დასრულების შემდეგ აუცილებელია სადემონტაჟო ზოლებში ტროტუარის მოწყობა, ასევე მეზობელ შენობებზე სახურავების კედლების მოწესრიგება ატმოს ფერული წვეთების ზემოქმედებისაგან მათი დაცვის მიზნით.
8. დასაშლელ-სადემონტაჟო ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკებით).
9. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს შრომის, ელექტრო, ხანძარსაფრთხოებისა და ბუნებისდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით.
10. რეკომენდაციები სამუშაოთა წარმოების თაობაზე ტექსტობრივ ნაწილშია.



ექსპლიკაცია: №2 სახლის ეზოში შესასვლელი ჭიშკარი, 1. დროებითი ღობე ტროტუარ ბორდიურის გასწვრივ; 2. ერთსართულიანი სახლი; 3. ორსართულიანი სახლი ღია აივნით; 4. ნ შალი მასალისა და სამშენებლო ნაგვის დროებით შესაგროვებელი ადგილი, სასურველია მოკლ პერიოდშიეე მათი გატანა, თავდაპირველად უნდა დაიშალოს ერთსართულიანი ჰოზ. 2 სახლი, რაც გააფართოვებს სამუშაოთა სივრცეს ორივე მისამართზე სადემონტაჟო სამუშაოთა საწარმოებლად; 5. №4 მისამართზე შენობაში ჩახიდან ასასვლელი კიბე; 6. ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი ნახევარსარდაფით; 7. შენობების უკანა კედლების ზოლზე წითელ ხაზებში მოქცეული ნაკეთები 2 მეტრამდე სიმაღლის საყრდენი კედლებით; 8. №4 ეზოზე მიკუთვნებული მონაკვეთი სამი ერთსართულიანი მინაშენ-ნაგებობით შესასვლელით გვერდითი ეზოდან; 9. მეზობელ მიმდებარე შენობებთან დასაშლელი შენობების შეხების ზოლები, მზიდი კედლები და საძირკვლები დამოუკიდებელია, დაშლის პერიოდში საჭიროა სიფრთხილე მათი უნებლიე დაზიანებისაგან დაცვის მიზნით; 10. საავტომობილო მისასვლელი კოტე მაყაშვილის ქუჩიდან; 11. მობილური ამწე საჭირო-ების მიხედვით მოხერხებული პოზიციიდან აწარმოებს დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოებს ჩახის მხრიდან.

შპს "ქართული საინჟინრო საწარმო" GEORGIAN ENGINEERING INDUSTRIAL ENTERPRISE "REVAZI MAKHVILADZE" LTD

ა/მ „რევაზ მახვილაძე, მშენებლობის მენეჯმენტი დაპროექტება და ექსპერტიზა"		
დირექტორი	რ. მახვილაძე	
შემდგენი	ნ. ბურჯალიანელი	

ქ. თბილისში, კოტე მაყაშვილის ქუჩა №2 და კოტე მაყაშვილის I ჩიხი №4 მიმდებარე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების დაშლა-დემონტაჟზე

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ	
დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა გენგეგმა, ექსპლიკაცია, პირობითი აღნიშვნები, ტექნიკურ-საექსპლოატაციო მაჩვენებლები რეკომენდაციები	ფურც.	22
	ფურც-ები	45
	თბილისი 2012	

დაშლა-დემონტაჟის სამუშაოთა გეგმა მ 1:200



პირობითი აღნიშვნები



(6) — დასაშლელ–სადემონტაჟო საცხოვრებელი სახლი

(4) — სამშენებლო ნაშალის შესაგროვებელი ადგილი

(12) — მიმდებარე განაშენიანება

—×—×— დროებითი ღობე

რეკომენდაციები დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოებზე.

1. ვინაიდან ჩიხიდან ეზოში შესასვლელი გაჩნია №2 სახლს დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყებაც აქედანაა შესაძლებელი. თავდაპირველად ტროტუარის გასწვრივ ეწყობა დროებითი ღობე. 2. დაშლილი მასალების დასაგროვებელი ზონის შექმნის მიზნით სასურველია №2 სახლი ეზოში ჯერ ერთსართულიანი პოზიცია 2 სახლის დაშლა-დემონტაჟი მიმდებარე კიბეებთან ერთად. 3. ეზოში მდგომი ორი ფოთლოვანი ხის მოჭრა შესათანხმებელია გარემოს დაცვის სამსახურთან. 4. დაუშვებელია დროებითი ღობის გასწვრივ ჩიხის დანაგვიანება სამშენებლო ნაგვითა და ნარჩენებით, ასევე იკრძალება მიმდებარე ეზოების შენობებზე სამშენებლო ნაშალის მიყრა. 5. მიმდებარე შენობებთან დაშლითი ოპერაციების წარმოების პერიოდში იკრძალება სანგრევი ჩაქუჩებისა და ვიბრაციული ზემოქმედების მანქანა-იარაღების გამოყენება. 6. მიმდებარე შენობების კედლების, საძირკვლების ან სახურავის უნებლიე დაზიანების შემთხვევაში აუცილებელია მათი იმავდროული აღდგენა მობინადრეთა ინტერესების შესაბამისობით. 7. დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა დასრულების შემდეგ აუცილებელია სადემონტაჟო ზოლ-ებში ტროტუარის მოწყობა, ასევე მეზობელ შენობებზე სახურავების კიდეების მოწესრიგება ატმოს-ფერული წყლების ზემოქმედებისაგან მათი დაცვის მიზნით. 8. დასაშლელ-სადემონტაჟო ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკებით).

9. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს შრომის, ელექტრო, ხანძარუსაფრთხოებისა და ბუნებისდაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით. 10. რეკომენდაციები სამუშაოთა წარმოების თაობაზე ტექსტობრივ ნაწილშია.

ექსპლიკაცია: №2 სახლის ეზოში შესასვლელი ჭიშკარი, 1. დროებითი ღობე ტროტუა-რის ბორდიურის გასწვრივ; 2. ერთსართულიანი სახლი; 3. ორსართულიანი სახლი ღია აივნით; 4. ნაშალი მასალისა და სამშენებლო ნაგვის დროებით შესაგროვებელი ადგილი, სასურველია მოკლე პერიოდშივე მათი გატანა, თავდა-პირველად უნდა დაიშალოს ერთსართულიანი პოზ. 2 სახლი, რაც გააფართოვებს სამუშაოთა სივრცეს ორივე მისა-მართზე სადემონტაჟო სამუშაოთა საწარმოებლად; 5. №4 მისამართზე შენობაში ჩიხიდან ასასვლელი კიბე; 6. ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი ნახევარსარდაფით; 7. შენობების უკანა კედლების ზოლზე წითელ ხაზებში მოქცეული ნაკვეთები 2 მეტრამდე სიმაღლის საყრდენი კედლებით; 8. №4 ეზოზე მიკუთვნებული მონაკვეთი სამი ერთსართულიანი მინაშენ-ნაგებობით შესასვლელით გვერდითი ეზოდან; 9. მეზობელ მიმდებარე შენობებთან დასაშლელი შენობების შეხების ზოლები, მზიდი კედლები და საძირკვლები დამოუკიდებელია, დაშლის პერიოდში საჭიროა სიფრთხილე მათი უნებლიე დაზიანებისაგან დაცვის მიზნით.; 10. საავტომობილო მისასვლელი კოტე მაყაშვილის ქუჩიდან; 11. მობილური ამწე საჭიროების მიხედვით მოხერხებული პოზიციიდან აწარმოებს დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოებს ჩიხის მხრიდან.

INDIVIDUAL ENTERPRISE "REVAZI MAKHVILADZE"

იმ „რევაზ მახვილაძე, შენეკონომექსპერტი დაპროექტება და ექსპერტიზა"			ქ. თბილისში, კოტე მაყაშვილის ქუჩა №2 და კოტე მაყაშვილის I ჩიხი №4 მდებარე საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების დაშლა-დემონტაჟზე	
დირექტორი	რ. მახვილაძე		სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შეადგინა	ნ. მურჯიკნელი		დასაშლელ-სადემონტაჟო სამუშაოთა გეგმა, ექსპლიკაცია, პირობითი აღნიშვნები, ტექნიკურ-საექსპლოატაციო მაჩვენებლები რეკომენდაციები	ფურც. 23 ფურცები 45 თბილისი 2012

ნაწილის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.15.02.038.039**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892012100373 - 13/11/2012 17:53:29

მომზადების თარიღი
22/11/2012 12:38:43

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	მთაწმინდა		
01	15	02	038/039

მისამართი: ქალაქი თბილისი , მაყაშვილის ქ.2-ე ჩიხი N2

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 317.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **38;**
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 236.40
საცხოვრებელი ფართი: 195.33

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892012100373 , თარიღი 13/11/2012 17:53:29
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/11/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება (მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ ახლად აშენებულ საცხოვრებელ კორპუსში ფართების მიღების შესახებ) , დამოწმების თარიღი:21/11/2012 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "არქიინვესტი", ID ნომერი:404954046

მესაკუთრე: **წილი:**
შპს "არქიინვესტი"

იპოთეკა

საგანგაშო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოქალაქის რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგრძალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სარეკლამო მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც ეწევა პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში გექნება სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე. ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში „ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პრივატბანკის" სწრაფი გადახდის აპარატიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 01.15.02.038.039
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 288146-08
მიწის ნაკვეთის ფართობი: 317 კვ.მ.
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო
მომზადების თარიღი 01.10.08



მასშტაბი 1:500

0 1.5 3 6 9 მეტრი

შენობა-ნაგებობა, ბინობით ნომერი/სართულიანობა | [illegible] | [illegible] ნაგებობა | UTM (საკოორდინატო) სისტემის კოორდ.
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | მშენებარე ნაგებობა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 [illegible] 2 ტელ:(995 32) 91 04 27; ფაქსი:(995 32) 91 03 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24 ტელ:(995 32) 94 13 65
www.napr.gov.ge

მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი



მისამართი: მაყაშვილის ჩიხი №2	ფართობი 317 კვ.მ
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო	კატეგორია:

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	[illegible]
შენობა, შენობის იდენტიფიკატორი	[illegible]
მშენებარე ნაგებობა	[illegible]
სარდაფები	საკადასტრო აზომვითი უფლებამოსილი პირი
ლიცენზია № 8415-2007	დაინტერესებული პირი

მიწის ნაკვეთის მისამართი	ფართობი მ²	დანიშნულება
ჩუღურეთის ქუჩა N2 [uncertain handwriting]	317	არასას. სამეურნეო [uncertain handwriting]

შენობა-ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა (მშენებარე, აშენებული)	სართულიანობა	ფართობი მ²	განაშენიანების ფართობი მ²
01	1/1	აშენებული	2		[illegible]
02	1/1		1		[illegible]
03					
04					
05					
06					
07					
08					

მოსაზღვრე ნაკვეთების მართლზომიერი მფლობელები /მესაკუთრეები/	არსებობა
1	
2	
3	
4	

საკადასტრო აღწერაზე დამსწრე პირები	სახელი, გვარი
1	
2	
3	
4	

დაინტერესებული პირი	პირადი ნომერი
[illegible]	

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი ნიკოლოზ ზახოვი

მისამართი / საკონტაქტო ინფორმაცია დ. აღმაშენებლის გამზ. 84/24 III სართული ტ. 95-93-75

საკადასტრო აღწერის თარიღი: 24.09.08

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირის ____________ (ხელმოწერა)

(ბეჭედი [illegible] პირის შემთხვევაში)

დაინტერესებული პირის ____________ (ხელმოწერა)

ნაწილის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.15.02.038.046**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892012113847 - 21/11/2012 16:28:15

მომზადების თარიღი
22/11/2012 15:37:46

საკუთრების განყოფილება

მხარე	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	მთაწმინდა		
01	15	02	038/046

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა მაყაშვილი , I ჩიხი N4

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაშენებული ფართობი: 163.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **038;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართით 308.38 კვ.მ.
სხვა ფართი: N2, N3, N4

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892012113847 , თარიღი 21/11/2012 16:28:15
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/11/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:21/11/2012 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "არქიინვესტი", ID ნომერი:404954046

მესაკუთრე: **წილი:**
შპს "არქიინვესტი"

იპოთეკა

საგანგაშო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოქალაქის რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგრძალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სარეკლამო მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც ეწევა პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში გექნება სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე. ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე. ელექტრონულად ასევე სარეგისტრაციო სამსახურში „ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პრივატბანკის" სწრაფი გადახდის აპარატიდან.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.15.02.038.046*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882011352025
მიწის ნაკვეთის ფართობი: *163* კვ.მ.
დანიშნულება: *სასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 25.07.11



მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი



შენიშვნა: საზღვარი დატანილია დაინტერესებული პირის მითითებით

მისამართი	ბეჟაშვილის ჩიხი №4	მიწის ნაკვეთის ფართობი	163 კვ. მ.
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	კატეგორია	საკარმიდამო

პირობითი აღნიშვნები

———	ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
(დაშტრიხული)	შენობა, შენობის ნომერი/სართულიანობა
(ცარიელი)	ავტოფარეხი
(დაშტრიხული)	სერვიტუტი

შ პ ს „მეტრი"

[illegible] 20.07.11წ

დირექტორი	ლ. ავალიშვილი	
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ლ. ლაშაური	
საკადასტრო აღწერაზე პასუხისმგებელი პირი	ლ. ლაშაური	
დაინტერესებული პირი	ს. ჯანაშია	

მიწის ნაკვეთის მისამართი	ფართობი	დანიშნულება
მაყაშვილის ჩიხი №4	163	არასახოფლო-სამეურნეო

შენობა-ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა (მშენებარე, აშენებული)	სართულიანობა	ფართობი	განაშენიანების ფართობი
1	საცხოვრებელი	აშენებული	1		122.3
2	არასაცხოვრებელი	აშენებული	1		3.7
3	არასაცხოვრებელი	აშენებული	1		2.2
4	არასაცხოვრებელი	აშენებული	1		1

მოსაზღვრე ნაკვეთების მართლზომიერი მფლობელები /მესაკუთრეები/	არსებობა

საკადასტრო აღწერაზე დამსწრე პირები	

დაინტერესებული პირი	პირადი ნომერი
ზაზა ჯანაშია	01018000135

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი:
მისამართი / საკონტაკტო ინფორმაცია:

შ.პ.ს. "მეტრი"
თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი 89/24
III სართული

საკადასტრო აღწერის თარიღი 20.07.11.

საკადასტრო აღწერაზე
უფლებამოსილი პირის
(ხელმოწერა)

დაინტერესებული პირის
(ხელმოწერა)

25,54m


01.15.02.036.002
01.15.02.036.012
01.15.02.036.008
14\9
01.15.02.036.010
01.15.02.036.006
11
01.15.02.036.009
01.15.02.036.005
13
01.15.02.036.007
01.15.02.036.004
01.15.02.036.001
15\7
01.15.02.038.006
01.15.02.038.003
01.15.02.038.047
01.15.02.038.035
01.15.02.038.012
01.15.02.038.015
01.15.02.039.036
N1
N2
01.15.02.038.032
01.15.02.038.046
01.15.02.038.039
01.15.02.038.027
01.15.02.038.034
01.15.02.038.007
01.15.02.038.030
01.15.02.038.033
01.15.02.039.011
01.15.02.038.020
01.15.02.039.006
01.15.02.039.001
01.15.02.039.004
01.15.02.037.003
01.15.02.037.001
01.15.02.037.002
01.15.02.038.010
01.15.02.038.004
01.15.02.038.037
01.15.02.037.008
01.15.02.038.021
01.15.02.039.003
01.15.02.037.004
01.15.02.037.006
01.15.02.038.018
01.15.02.038.009


01150200300
01150200300
01150200300

I სართულის გეგმა მ 1 : 100



სარდაფი მ 1 : 100



დასაშლელ-სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

- მიწის ნაკვეთის ფართი – 317 მ²
- საერთო ფართობი – 236,14 მ²
- სამშენებლო მოცულობა – 1773 მ³
- 0,00 ნიშნულის ზევით – 1674 მ³
- 0,00 ნიშნულის ქვევით – 99 მ³
- შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე №2 სახლის ორსართულიანი უსარდაფო შენობის – 6,4 მ
- იმავე ეზოს ერთსართულიანი შენობის – 5,2 მ
- 0,00 ნიშნულის ზევით – 2,7 მ
- 0,00 ნიშნულის ქვევით – 2,2 მ
- მაქსიმალური სიმაღლე ჩიხის მხრიდან სახურავის დონემდე №4 სახლზეა – 8,2 მ

მაყაშვილის ქუჩის 2-ე ჩიხი №2

ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენებლობობიექტების დაპროექტება და ექსპერტიზა"			ქალაქ თბილისში, მაყაშვილის ქუჩის 2-ე ჩიხი №2 და მაყაშვილის I ჩიხი №4 საცხოვრებელი სახლების დაშლა-დემონტაჟზე	
დირექტორი	რ. მახვილაძე		სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შეადგინა	ნ. მურჯიკნელი		სახლი №2 აზომვითი ნახაზები	ფურც. 37 ფურც-ები 45 თბილისი 2012



ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენებლობისპროექტის დაპროექტება და ექსპერტიზა"			ქალაქ თბილისში, მაჟაშვილის ქუჩის 2-ე ჩიხი №2 და მაჟაშვილის I ჩიხი №4 საცხოვრებელი სახლების დაშლა-დემონტაჟზე	
დირექტორი	რ. მახვილაძე		სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
				ფურც. 38
შეადგინა	ნ. მურჯიკნელი		სახლი №2 აზომვითი ნახაზები	ფურც-ები 45
				თბილისი 2012

ჭრილი ა-ა მ1:100

სიმაღლე ჩიხიდან
8.2მ



დასაშლელ-სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

–	მიწის ნაკვეთის ფართი	– 163 მ²
–	საერთო ფართობი	– 315,28 მ²
–	სამშენებლო მოცულობა	– 1040 მ³
–	0,00 ნიშნულის ზევით	– 441 მ³
–	0,00 ნიშნულის ქვევით	– 559 მ³
–	ერთსართულიანი შენობის ნახევარსარდაფით კონსტრუქციული სიმაღლე	– 6,6 მ
–	ერთსართულიანი შენობა ნახევარსარდაფით	– 6,6 მ
–	0,00 ნიშნულის ზევით	– 3,8 მ
–	0,00 ნიშნულის ქვევით	– 2,8 მ
–	მაქსიმალური სიმაღლე ჩიხის მხრიდან სახურავის დონემდე №4 სახლზეა	– 8,2 მ



მაყაშვილის ქუჩის I ჩიხი №4



შპს „რევაზ მახვილაძე
მშენებლობითი საწარმო
REVAZI MAKHVILADZE
CONSTRUCTION ENTERPRISE

შპს „რევაზ მახვილაძე მშენებლობითი საწარმო დაპროექტება და ექსპერტიზა"		ქალაქ თბილისში, მაყაშვილის ქუჩის 2-ე ჩიხი №2 და მაყაშვილის I ჩიხი №4 საცხოვრებელი სახლების დაშლა-დემონტაჟზე	
დირექტორი	რ. მახვილაძე	სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შემდგენი	ნ. მურვანიძელი	სახლი №4 აზომვითი ნახაზები	ფურც. 39 ფურც-ები 45 თბილისი 2012



ხახლი №4



ხახლი № 2



ხახლი №4

ხახლი № 2








სახლი №4

















N2 სურათი









№4 სახლის ხედები ეზოდან